სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 მარტი, 2024 წ

ბრძანება N 01-02/37

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრებისათვის ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში **საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტების გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (15.03.2024 წლის №311574) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრებისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში სტუდენტების **გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი** და განისაზღვროს შემდეგი **ვადები და კრიტერიუმები:**

   ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება ელექტრონულ გმულზე https://registration.bsu.ge და სტუდენტური პორტალის მეშვეობით - **2024 წლის 19 მარტიდან - 15 აპრილის ჩათვლით 15:00 საათამდე;**

   ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2024 წლის 16 აპრილი -10:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

   გ) ტესტირება ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენაში (B1-B2)- 2024 წლის 17 აპრილი, 10:00 საათი (ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ.№12 (არანაკლებ ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების (B2) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

   დ) გასაუბრება კომისიასთან - **2024 წლის 18 აპრილი, 10:00 საათი;**

   1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული **კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება** მიმღები უნივერსიტეტებისათვის - არაუგვიანეს **2024 წლის 19 აპრილი.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

   ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;
გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;
დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ე) მარინა გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ერაზმუს+ კოორდინატორი ბსუ-ში.
ზ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
თ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
ი) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
კ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
ლ) ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;
მ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
ნ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**